KINGS · ქართული ენის ოლიმპიადა

ტესტების მიმოხილვა

II კლასი · 2026 წლის შემოდგომა

I უფასო ტური · 8 ნოემბერი

ტესტის სტრუქტურა

#	სავარჯიშო	შეკითხვა	ქულა
I	ანბანი და ასოები	5	10
II	მარცვალი	5	10
III	ცხოველები და ბუნება	5	20
IV	სიტყვის მნიშვნელობა	5	20
V	დააკვირდი ნახატს და უპასუხე	10	40
+	ბონუს სექცია	5	+25
	სულ	**30 + 5**	**100 + 25**

ტესტის შესახებ

II კლასის ტესტი შედგება **5 სავარჯიშოსა** და **ბონუს სექციისგან**. ძირითადი ნაწილი შეიცავს **30 შეკითხვას** და ფასდება **100 ქულით**, ბონუს სექცია კი **5 შეკითხვას** (დამატებით **25 ქულა**). ყველა შეკითხვა დახურული ტიპისაა: სამი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ) სწორია **მხოლოდ ერთი**. ტესტი მოიცავს ანბანს, მარცვალს, ბუნებასა და სიტყვის მნიშვნელობას, ბოლო სავარჯიშოში კი მოსწავლე დიდ ფერად ნახატს აკვირდება და მასზე დასმულ შეკითხვებს პასუხობს.

სავარჯიშოები

I. ანბანი და ასოები

შემოხაზე სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

ამოწმებს ქართული ანბანის ცოდნას: ასოების თანმიმდევრობას, ხმოვნების ამოცნობას და არეული ასოებისგან სიტყვის შედგენას.

მაგალითი

ჩასვი გამოტოვებული ასო ანბანის მიხედვით: ბ, გ, ..., ე — **ა)** დ **ბ)** ვ **გ)** ზ

სწორი პასუხი: ა) დ → ანბანში „გ“-სა და „ე“-ს შორის „დ“ დგას.

II. მარცვალი

შემოხაზე სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 2 ქულა თითოეულზე · სულ 10 ქულა**

მოსწავლემ სიტყვა უნდა დაყოს მარცვლებად, დაითვალოს მარცვლები, იპოვოს გამეორებული მარცვალი და მარცვლებისგან სიტყვა ააწყოს.

მაგალითი

რამდენი მარცვალია სიტყვაში „ყვავილი“? — **ა)** ორი **ბ)** სამი **გ)** ოთხი

სწორი პასუხი: ბ) სამი → ყვა-ვი-ლი - სიტყვა სამი მარცვლისგან შედგება.

III. ცხოველები და ბუნება

შემოხაზე სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 20 ქულა**

ამოწმებს ბუნებისა და ცხოველთა სამყაროს შესახებ ცოდნას: გარეული და შინაური ცხოველები, ფრინველები, მცენარეები, წელიწადის დროები.

მაგალითი



რომელ ცხოველს სძინავს მთელი ზამთარი ბუნაგში? **ა) დათვს** **ბ)** ცხენს **გ)** კატას

სწორი პასუხი: ა) დათვს → დათვს ზამთარში ბუნაგში სძინავს, გაზაფხულზე კი იღვიძებს.

IV. სიტყვის მნიშვნელობა

შემოხაზე სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **5 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 20 ქულა**

მოსწავლემ უნდა განმარტოს სიტყვა, იპოვოს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვა და სიტყვები მნიშვნელობის მიხედვით დააჯგუფოს.

მაგალითი

რას ნიშნავს სიტყვა „მხიარული“? **ა)** მოწყენილი **ბ) ხალისიანი** **გ)** მშიერი


სწორი პასუხი: ბ) ხალისიანი → „მხიარული“ ხალისიან, მოცინარ ადამიანს ნიშნავს.

V. დააკვირდი ნახატს და უპასუხე

შემოხაზე სწორი პასუხი: ა, ბ ან გ **10 შეკითხვა · 4 ქულა თითოეულზე · სულ 40 ქულა**

ტესტში მოცემულია დიდი ფერადი ნახატი - ბუნების სურათი ცხოველებით. მოსწავლე ნახატს აკვირდება და 10 შეკითხვას პასუხობს: რა სად დგას, ვინ რას აკეთებს.

მაგალითი



რომელი ცხოველი დარბის ხესა და სახლს შორის? **ა) ძაღლი** **ბ)** კატა **გ)** კურდღელი

სწორი პასუხი: ა) ძაღლი → ნახატზე ხესა და სახლს შორის ძაღლი დარბის.

ბონუს სექცია

ძირითადი ტესტის შემდეგ მოცემულია ბონუს სექცია: **5 შეკითხვა**, თითოეული 5 ქულა, ჯამში **25 ქულა**. შეკითხვები ზოგადია და ეხება ლექსიკას, ანდაზებს, გამოცანებსა და ფრაზეოლოგიზმებს. ბონუს ქულებით მოსწავლეს შეუძლია ტესტში დაშვებული **შეცდომები აანაზღაუროს**.

მოსამზადებელი კურსი

დამატებით მოსამზადებლად მოსწავლის პროფილში ხელმისაწვდომია ოლიმპიადის **მოსამზადებელი კურსი**. კურსს ოლიმპიადის **I ტურის მსგავსი სტრუქტურა** აქვს, ტესტის შესასრულებლად კი მოსწავლეს **1 საათი** ეძლევა. კურსის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მოსწავლეს შეუძლია:

- გადახედოს დაშვებულ შეცდომებს
- გააანალიზოს სუსტი მხარეები
- უკეთ მოემზადოს ოლიმპიადის I ტურისთვის

ქართული ენის ოლიმპიადის I უფასო ტური გაიმართება 8 ნოემბერს. გელოდებით!